სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

ქ. თბილისი **„21“ „სექტემბერი“ 2022 წელი**

სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი N1

სხდომის თავმჯდომარე **ირაკლი მხეიძე** – სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ჯიქია - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ;

დავით გურამიშვილი - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

მამუკა კიკალეიშვილი - სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ნიკა გოგლიძე - სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ლევან დოლიძე - სააგენტოს დევნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

ვლადიმერ ქებაძე - სააგენტოს დევნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტის სოციალური საკითხებისა და პროგრამების მართვის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

თეიმურაზ შამუგია - ინფრასტრუქტურის სამსახურის ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

მაიკო მიქაია - სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი, კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 43.31.62.746) იძულებით გადაადგილებული 1700 ოჯახისთვის და ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 03.01.22.645) იძულებით გადაადგილებული 720 ოჯახისთვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლ(ებ)ის მშენებლობის მიზნით საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ჩატარების შესახებ სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება.

განიხილეს:
სატენდერო კომისიის აპარატმა სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საშუალებით, ზემოაღნიშნული სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, სატენდერო კომისიის

აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო პირობების პროექტი. ტენდერის ტექნიკური დავალება შედგენილია სააგენტოს, ინფრასტრუქტურის სამსახურის პროექტების შეფასების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 20 სექტემბრის IDP 5 22 00332181 მოხსენებითი ბარათისა და 2 სექტემბრის IDP 2 22 00271159 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 43.31.62.746) იძულებით გადაადგილებული 1700 ოჯახისთვის და ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 03.01.22.645) იძულებით გადაადგილებული 720 ოჯახისთვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლ(ებ)ის მშენებლობის მიზნით საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების, ასევე, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, იძულებით გადაადგილებული 2400 ოჯახისთვის, ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.19.009.037), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმის, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დასადგენად სააგენტომ 2022 წლის მაისში გამოაცხადა ბაზრის კვლევის პროცედურები (წერილები: № 03/10065, № 03/10066, 17.05.2022) სადაც შესყიდვის პირობად მითითებული იყო ხელშეკრულების გაფორმების ვალუტა აშშ დოლარი. მოცემულ ბაზრის კვლევაში მონაწილეობა მიიღო ექვსმა დაინტერესებულმა პირმა, რის შემდეგაც დოლარის კურსის ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკების თავიდან ასაცილებლად სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო შესყიდვა განეხორციელებინა ეროვნულ ვალუტაში (ლარი), რა საფუძვლითაც, ბაზრის კვლევაში მონაწილე ექვსივე დაინტერესებულ პირს მიემართა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და განემარტა, რომ განფასებები წარმოედგინათ ეროვნულ ვალუტაში ლარში, რასაც უპასუხა ოთხმა დაინტერესებულმა პირმა. შედეგად:

1. ასაშენებელ მრავალბინიან საცხოვრებელ შენობაში საცხოვრებელი ფართების 1 კვ.მ ღირებულება ქ. თბილისის ობიექტთან მიმართებაში შეადგენს: დაინტერესებული პირი N1 - 1,993 ლარს, დაინტერესებული პირი N2 - 2,178 ლარს, დაინტერესებული პირი N3 - 2,102 ლარს და დაინტერესებული პირი N4 - 2,350 ლარს.

2. ასაშენებელ მრავალბინიან საცხოვრებელ შენობაში საცხოვრებელი (სამყოფი) ფართების 1 კვ.მ ღირებულება ქ. ზუგდიდში და ქუთაისში არსებულ ობიექტებთან მიმართებაში ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირების მიერ შეადგენს: 2,009 ლარს, 2,165 ლარს, 2,108 ლარს და 2,335 ლარს.

კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს ბაზრის კვლევაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აღნიშნეს, რომ შესყიდვის ობიექტის საერთო სავარაუდო ღირებულების დასადგენად, სამშენებლო სამუშაოების 1 კვ.მ ფასად განისაზღვრა - 1993.00 ლარი, რომელიც ყველაზე დაბალ ფასად წარმოადგინა ბაზრის კვლევაში მონაწილე დაინტერესებულმა პირმა ქ. თბილისის ობიექტთან მიმართებაში. ვინაიდან სატენდერო პირობების შესაბამისად, ქ. ზუგდიდსა და ქუთაისში ასაშენებელი საცხოვრებელი ფართის საერთო კვადრატულობა შეადგენს 138,920 კვ.მ-ს, ტენდერის სავარაუდო ჯამურ ღირებულებად განისაზღვრა - ***276`867`560.00 ლარი.***

ელექტრონულ ტენდერში კლების ბიჯად განისაზღვრა - ***2`768`676*** ლარის ოდენობით, რაც კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებში თავსდება.

ხორციელდება მრავალწლიანი შესყიდვა 2022-2026 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (2022 წლის ბიუჯეტით გამოყოფილია მთლიანი ღირებულების 0.5%, 2023 წლის ბიუჯეტით- 33,5%, 2024 წლის ბიუჯეტით - 20%, 2025 წლის ბიუჯეტით - 16%, ხოლო 2026 წლის ბიუჯეტით - 30%,), რაზედაც, კანონმდებლობის შესაბამისად, არსებობს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა. (წერილი N 04-02/84688; 09.09.2022).

კომისიის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ შესყიდვის განხორციელება შეთანხმებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან (წერილი MOH 5 22 00335668; 21.09 .2022) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 30 მარტის № 01-163/ო ბრძანების შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს, კენჭი უყარეს და კენჭისყრის შედეგად, ერთხმად დაამტკიცეს კომისიაზე წარმოდგენილი სატენდერო პირობების პროექტი.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნეს წარმოდგენილი სატენდერო პირობები, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დანართი №3-ით განსაზღვრული კითხვარი.
2. დაევალოს კომისიის აპარატს, უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობებისა და წინამდებარე ოქმის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის სხდომის ოქმი კომისიის წევრების მიერ დამტკიცებულ იქნა.

კომისიის თავმჯდომარე:
ირაკლი მხეიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

დავით ჯიქია

კომისიის წევრები:

დავით გურამიშვილი

მამუკა კიკალეიშვილი

თეიმურაზ შამუგია

ნიკა გოგლიძე

ლევან დოლიძე

ვლადიმერ ქებაძე

კომისიის აპარატის წევრი:

მაიკო მიქაია

LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY
Digitally signed by LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY
Date: 2022.09.21 18:20:16 +04'00'